

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
(ამერიკათმცოდნეობა)

ანალიტიკური მიდგომა აფრიკელი ამერიკელების ინტეგრაციის
ევოლუციასთან მიმართებაში ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-20
საუკუნის მეორე ნახევარში, რამაც ნიადაგი შეუმზადა ობამას
სასწაულს: ქართული ხედეა

ნინო გამსახურდია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის
(ამერიკათმცოდნეობის სპეციალობით)

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი, 2010

ხელმძღვანელი: პროფ.დოქტ.თამარ შიოშვილი

----- (ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტი:

ასოც.პროფ.დოქტ. ვასილ კაჭარავა

ოპონენტები:

ასოც.პროფ. დოქტ. ანასტასია ზაქარიაძე

პროფ. დოქტ. ივანე მენტეშაშვილი

შესავალი

2001 წელს მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე ტერორისტულ თავდასხმას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მღელვარებით აღსავსე წლები მოჰყვა. ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის წლები, ალბათ, ყოველთვის ამ კატასტროფასთან იქნება ასოცირებული. პრეზიდენტის მიერ წამოწყებულმა გლობალურმა ომმა ტერორიზმთან, ავღანეთის ომმა და სადავო ომმა ერთადერთი წინააღმდეგ, ახალი ათასწლეულის დასაწყისში, დიდი გავლენა იქონია მსოფლიო პოლიტიკაზე.

ამერიკის შეერთებული შტატები დღემდე რჩება მსოფლიოს ტრანსცენდენტალურ ძალად. ცივი ომის პერიოდში ბევრი ანალიტიკოსი შიშობდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმიჯის შელახვა მსოფლიოში, მას “ჩვეულებრივ, რიგით” ქვეყანად წარმოაჩენდა. თუმცა, დღეისათვის ნათელია, რომ ამერიკას არ ემუქრება ეგერეთწოდებული “რიგითობის” კატეგორიით შეფასება. შეერთებული შტატები სიდიდით მსოფლიოში მეოთხე და მოსახლეობის რაოდენობის მხვენებით მესამე ქვეყანა გახლავთ. საკუთარი უმდიდრესი ბუნებრივი რესურსებით, ტექნოლოგიითა თუ სამხედრო ძალით, ამ ქვეყანას უდიდესი გავლენა გააჩნია როგორც საშინაო ეკონომიკის მასშტაბით, ასევე მთელ მსოფლიოშიც.

ამერიკელები და მათი ლიდერები თვლიან, რომ მათი ქვეყანა სხვებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაკკორმაკის აზრით, „ეს ერი ჩამოყალიბდა განსაკუთრებულ, კონკრეტულ ღირებულებებზე და სწორედ ამიტომაც ეს ქვეყანა, თავისი ღირებულებებით და ხასიათით, განსხვავდება იმ ძველი სამყაროს ერებისგან, საიდანაც იგი აღმოცენდა“. (მაკკორმაკი,1992). ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატები განსხვავებული და უნიკალურია, მის საგარეო პოლიტიკას ანალოგი არ მოეძებნება. ამ ქვეყანას სხვა ქვეყნებთან მიმართებაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და ვალდებულებები აკისრია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამ ქვეყნების სიას საქართველოც დაემატა. ამერიკა მხარს უჭერს პოსტ-საბჭოთა სივრცეში საქართველოში დემოკრატიის ინსტიტუტის დანერგვას. 2009 წლის 23 ივლისს, საქართველოს პარლამენტის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა აღნიშნა, რომ “მსოფლიო მასშტაბით, საქართველო ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელიც ამერიკისგან ერთ მოქალაქეზე ყველაზე დიდი რაოდენობის დახმარებას იღებს. ამერიკის შეერთებული შტატები სრულიად უჭერს მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, საქართველოს მისწრაფებას უსაფრთხოების, თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ”.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა საქართველოზე საბჭოთა პერიოდშიც კი იგრძნობოდა. დღევანდელი გლობალიზაციის, „საინფორმაციო ხანის“ თუ “დამოუკიდებლობის შენების” პირობებში, ქართველ ხალხს ამერიკასთან

დაკავშირებით უამრავი კითხვა უჩნდება. მათ სურთ, რომ მეტი ინფორმაცია მიიღონ, რათა უკეთ გაიგონ ამერიკის ისტორიასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, კულტურასთან, ეკონომიკასა თუ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი. შესაბამისად, ჩვენ გვჯერა, რომ ქართველებმა, განსაკუთრებით სტუდენტებმა და საზოგადოების ინტელექტუალურმა ნაწილმა, უნდა იცოდეს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ისტორია, განსაკუთრებით კი სამოქალაქო უფლებების დაცვისთვის მოძრაობის წლები, რომლებიც წინ უსწრებდა 2008 წელს მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენას – როდესაც ქვეყნის ისტორიაში პირველად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად აფრიკელ ამერიკელი აირჩიეს.

თემის აქტუალობა

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა მდგომარეობს შემდეგში: ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი ქვეყანა და საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორია. ამიტომაც აუცილებელია, რომ ქართველმა ხალხმა მეტი იცოდეს აშშ-ში მიმდინარე მოვლენების შესახებ; განსაკუთრებით კი ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეთ ახალი ლიდერისა და მისი სტრატეგიების შესახებ. უდავოა, რომ ახალი კურსი გავლენას მოახდენს საქართველოსა და მისი მოქალაქეების მომავალზე.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანი

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია დავადგინო, თუ რამ განაპირობა ის ფაქტი, რომ რასობრივი ცრურწმენით აღსავსე ორასზე მეტი წლის შემდეგ, ამერიკელმა ხალხმა ქვეყნის 44-ე პრეზიდენტად აფრიკელ ამერიკელი აირჩია. შევეცდები, ჩემს ნაშრომში იმ აფრიკელ ამერიკელთა ლიდერობის სტილის დიფერენციაცია მოვახდინო, რომლებმაც გზა გაუკაფეს ბარაკ ობამას არჩევას.

სადისერტაციო ნაშრომის სიახლე

სადისერტაციო ნაშრომის თემა, თავისთავად, ახალია, რადგანაც უახლესი მოვლენის ანალიზს ითვალისწინებს – 2008 წელს მოხდა სასწაული: პირველად ქვეყნის ისტორიაში, ამერიკელმა ხალხმა უზუღუვებელყო რასობრივი ცრურწმენა და ქვეყნის 44-ე პრეზიდენტად აფრიკელ ამერიკელი ბარაკ ობამა აირჩია. საქართველოში ამ საკითხზე დღემდე არც ერთი სადისერტაციო ნაშრომი არ დაწერილა, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა იმის ახსნის მცდელობა, თუ რამ აიძულა ამერიკელი ხალხი, ხმა მიეცა ამ კონკრეტული კანდიდატისათვის. აქამდე არავის შეუსწავლია მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებდა ამ არჩევანს. ასევე, არავის გამოუკვლევია, თუ რა ადგილი უჭირავს, ზოგადად, ლიდერს აფრიკელ ამერიკელთა საზოგადოებაში და არ მომხდარა იმ ლიდერების დიფერენციაცია, რომლებიც მონაწილეობდნენ სამოქალაქო უფლებების დასაცავად გამართულ მოძრაობაში.

ასევე, არავის შეუსწავლია მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ის ცნობილი აფრიკელ ამერიკელი ლიდერები და მათი მიღწევები და სტრატეგიები, ვინც გზა გაუკვალა ობამას ფენომენის მიღებას.

სიახლეს წარმოადგენს ის კვლევა, რომელიც ჩატარდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის. უმნიშვნელოვანესია ამერიკის ახალი შავკანიანი პრეზიდენტის ლიდერობის სტილის შესწავლა საშინაო და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიასთან მიმართებაში.

პრობლემური კითხვა

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი პრობლემური კითხვა მდგომარეობს შემდეგში: დაძლია თუ არა ამერიკელმა ხალხმა რასიზმის პრობლემა ბარაკ ობამას არჩევით?

მეთოდოლოგია

კვლევისას გამოყენებულ იქნა შერეული მეთოდოლოგია: ანალიტიკური და სტატისტიკური ანალიზი, ინტერდისციპლინურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სადაც გაერთიანდა კულტუროლოგია და ამერიკის ისტორია.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს შორის ჩატარებულმა კვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ მათ აუცილებლად სჭირდებათ მეტი ცოდნა სამოქალაქო უფლებების დაცვისთვის მოძრაობის შემდგომი პერიოდის (1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან 2000 წლის ჩათვლით) შესახებ, კერძოდ კი ინფორმაცია აფრიკელ ამერიკელთაა მდგომარეობისა და იმ პერიოდში მოღვაწე აფრიკელ ამერიკელი ლიდერებისა და სხვა გამოჩენილი პირების მიღწევების შესახებ. შესაბამისად, ამ სადისერტაციო ნაშრომის გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ბაკალავრიატის მეორე და მესამე კურსების პროგრამებში: ამერიკის ისტორია; ამერიკის კულტურა და საზოგადოება.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება: შესავლის, სამი თავისა და დასკვნებისაგან.

პირველ თავში წარმოდგენილია ისტორიული ანალიზი რასათა შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით. ამ თავში მოცემულია მონობის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა ემანსიპაციის პროკლამაციამდე. აღწერილია აფრიკელების იძულებითი მიგრაცია ატლანტის ოკეანის გავლით. მოთხრობილია მონობისადმი ინგლისელ ახალმოსახლეთა დამოკიდებულების შესახებ. ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ ინგლისელებს აფრიკელებთან პირველივე კონტაქტისას არ გაჩენიათ მათი დამონების სურვილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზანგს თავიდანვე მონად როდი აღიქვამდნენ, ინგლისელები მათ, უბრალოდ, განსხვავებულ ადამიანებად თვლიდნენ. თუმცა, დამოკიდებულება მაღევე

შეიცვალა. უკვე 1619 წელს ვირჯინიაში პირველი აფრიკელები გამოჩნდნენ. 1640 და 1660 წლებში უკვე არსებობდა მონობის პრეცედენტები. 1700 წლისათვის აფრიკელებს ინგლისელებისა და სხვა ევროპელ ახალმოსახლეთაგან რადიკალურად განსხვავებული სტატუსი ჰქონდათ.

საგულისხმოა სხვადასხვა სახის შრომითი სისტემები იმდროინდელ ამერიკაში. პირველი გახლდათ თავისუფალი შრომის სისტემა, შემდეგ იყო მონური შრომის სისტემა და დაქირავებული შრომის სისტემა. სწორედ ეს უკანასკნელი უწყობდა ხელს ინგლისელების დაფუძნებასა და მონური შრომის სისტემის განვითარებას. დაქირავებული მუშახელის დეტალური განხილვის შემთხვევაში, აღნიშნულია, რომ დაქირავებული მსახურები, ხელშეკრულების მიხედვით, გარკვეული წლების განმავლობაში ემსახურებოდნენ საკუთარ ბატონებს. (ძირითადად 4-დან 7 ან 21 წლამდე). მსახურობის ხანგრძლივობა მოლაპარაკების საგანი გახლდათ, მსახური შეიძლებოდა გაეყიდათ ან სხვა პატრონისთვის გადაეცათ. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ, მსახური თავისუფალი ადამიანის სტატუსს იძენდა. ბატონი ფლობდა მის შრომას, სამსახურს და არა მის პიროვნებას. მოსამსახურესა და დაქირავებულს შორის ურთიერთობა კანონის შესაბამისად რეგულირდებოდა. ბატონი ვალდებული იყო, მოსამსახურე საკვებითა და ტანსაცმლით უზრუნველყო და არ ეძალადა მასზე, ზოგ შემთხვევაში განათლებაც კი მიეცა.

რა განსხვავება იყო მონასა და მსახურს შორის? მონას შეეძლო ყოფილიყო მსახური, ხოლო მსახური არ უნდა გამხდარიყო მონა. პირველ რიგში, მონას თავისუფლება სრულიად დაკარგული ჰქონდა. ასევე, მისი ეს მდგომარეობა მუდმივად ითვლებოდა და მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ეს ორი ასპექტი ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმდროინდელ ამერიკაში. მონობა ძალაუფლებაზე დაფუძნებულ ურთიერთობას გულისხმობდა, ხოლო მსახურება – მომსახურების გაწევას. მონობა განიხილებოდა ბოროტების, ეშმაკის განუყოფელ ნაწილად და მონას მხეცივით ან წარმართივით ექცეოდნენ. ზანგებს კი სწორედ ასეთებად აღიქვამდნენ.

საგულისხმოა ის შეგრძნებები, რომლებიც ინგლისელებს აფრიკელებთან პირველი შეხვედრისას დაეუფლათ. როგორც აღვნიშნე, თავდაპირველად ინგლისელები აფრიკელებს პოტენციურ მონებად არ თვლიდნენ.

ზანგები გამორჩეულად გამოიყურებოდნენ: ისინი არ იყვნენ ქრისტიანები, მათი ცხოვრების ნირიც სრულიად განსხვავდებოდა. ყველაზე უფრო თვალშისაცემი და განმაცვიფრებელი მახასიათებელი იყო აფრიკელის კანის ფერი; თითოეული მოგზაური

აფრიკელთა აღწერისას, პირველ რიგში, მათ კანის ფერს აღნიშნავდა და მხოლოდ შემდეგ იწვებდა ლაპარაკს მათ ჩვეულებებზე.

აღსანიშნავია, რომ მაშინდელ ინგლისში შავ ფერს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. არც ერთ ფერს, გარდა თეთრისა, არ გააჩნდა ასეთი ძლიერი ემოციური დატვირთვა. მეთექვსმეტე საუკუნემდე შავ ფერს შემდეგნაირად განსაზღვრავდნენ: “ჭუჭყიანი, საშინელი, შავბნელი აზრების მქონე; ჭუჭყით დაფარული”. თითქოს ეს განსაზღვრება მიანიშნებდა სირცხვილზე, დაგმობაზე, ისეთ რამეზე, რომელიც დასჯას ექვემდებარებოდა. თეთრი ფერი კი აბსოლუტურად საპირისპირო მნიშვნელობის მატარებელი გახლდათ. ეს ფერები განასახიერებდა სიწმინდესა და სიბინძურეს, უცოდველობასა და ზნედაცემულობას, ღმერთსა და ეშმაკს.

პირველ თავში, ასევე, განხილულია შავკანიანთა მიმართ რასიზმისა და ცრურწმენის გამოვლენის შემთხვევები მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის ამერიკაში.

ამავე თავში გაანალიზებულია, თუ რა როლი ითამაშა რელიგიამ, უფრო ზუსტად, ეკლესიამ აფრიკელ ამერიკელთა ცხოვრებაში. ყურადღება გამახვილებულია ეკლესიის სოციალურ როლზე.

ალექსის დე ტოკვილის ნაშრომზე (“დემოკრატია ამერიკაში”) დაყრდნობით, მიმოხილულია მეჩვიდმეტე საუკუნის ამერიკაში რასათა შორის ურთიერთობების საკითხი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. ტოკვილი თვლიდა, რომ შეუძლებელი იყო შავკანიანთა და თეთრკანიანთა ასიმილაცია და ემხრობოდა აფრიკელთა კოლონიზაციას ალჟირში. ხაზგასმულია, თუ რა საერთო არსებობს ტოკვილის შეხედულებებსა რასათა შორის ურთიერთობებზე და კრიტიკულ რასობრივ თეორეტიკოსების (The Critical Race Theorists) ძირითად ჰიპოთეზებს შორის.

საერთო ასპექტი ტოკვილსა და კრიტიკულ რასობრივ თეორეტიკოსების შეხედულებებს შორის გახლავთ ის, რომ ა) რასათა შორის განსხვავებულ სტატუსს განაპირობებდა იმდროინდელი კანონი და საზოგადოებრივი ურთიერთობი. ბ) თეთრკანიანთა პრივილეგია ამერიკული კულტურისთვის დამახასიათებელი იყო. ტოკვილი ფიქრობდა, რომ იმ დროს არსებული კანონები და მათი შედეგები ამ სოციალური სინამდვილის ნაყოფი გახლდათ. გ) შემდეგი საერთო მახასიათებელი იყო ის, რომ რასათა შორის ურთიერთობების არსებულმა სისტემამ თეთრკანიანებსაც საკმარისი ზიანი მიაყენა.

დ) ტოკვილის შეხედულებები მონობიდან გათავისუფლების შესახებ, ინტერესთა კონფერენციის თეორიის კონცეფციასაც უკავშირდება.

დისერტაციის პირველი თავი აბრაამ ლინკოლნის პიროვნების ფენომენის ანალიზით სრულდება. კერძოდ, განხილულია მისი შეხედულებები მონობის შესახებ. შევეცადე

ჩამომეყალიბებინა, თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი ემანსიპაციის პროკლამაციის მიღება და რა მოვლენები უსწრებდა წინ ამ ფაქტს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ემანსიპაციის პროკლამაციამ აფრიკელ ამერიკელთა ცხოვრებაში მყისიერი პოზიტიური ცვლილებები როდი მოიტანა, რამაც დიდი იმედგაცრუება გამოიწვია.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავის პირველი ნაწილი შედგება კვლევისგან, რომელიც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის, ამერიკათმცოდნეობის მიმართულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შორის ჩატარდა.

როდესაც ნაშრომის წერას ვიწყებდი, მეგონა, რომ ქართველებს შედარებით მწირი წარმოდგენა ექნებოდათ აფრიკელ ამერიკელთა ისტორიის ზოგიერთი ასპექტის შესახებ; კერძოდ, აფრიკელ ამერიკელთა როლის შესახებ პოლიტიკაში და განსაკუთრებით პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებაში. მართალია, ვიცოდი, თუ რამდენად ინფორმირებულები იყვნენ სტუდენტები ამ საკითხში, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩავთვალე, რომ მეტი მტკიცებულება წარმომეჩინა. ამ მიზნით შედგა მოკლე კითხვარი, რომელიც დაურიგდა სტუდენტებს. საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის ჩათვლით, გამოკითხულ იქნა 158 სტუდენტი. მაინტერესებდა მათი ზოგადი წარმოდგენები და დამოკიდებულებები, თუ რა სახის წინსვლა განიცადეს აფრო-ამერიკელებმა 1970-იან, 1980-იან და 1990-იან წლებში; ასევე, სტუდენტებს უნდა ეპასუხათ ზოგად კითხვებზე აფრიკელ ამერიკელთა და სამოქალაქო უფლებების დაცვისთვის მოძრაობის შემდგომი პერიოდის შესახებ.

რესპონდენტების პასუხებისა და განწყობების საილუსტრაციოდ გამოყენებულ იქნა რიცხობრივი შეფასების შკალა. X დერძი იწყება -4-იდან და სრულდება +4-ით. იგი ასახავს იმ ზღვარს, ხარისხს, რომლითაც სტუდენტები ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან ყოველ კონკრეტულ კითხვას, 99-ით აღინიშნა პასუხის გარეშე დარჩენილი კითხვები.

საგულისხმოა, რომ სტუდენტები ძალიან დაინტერესდნენ აფრო-ამერიკელებთან დაკავშირებული საკითხებით და სამომავლოდ მეტი ინფორმაციის მიღების სურვილი გამოთქვეს.


გამოკითხულთა ოცდახუთი პროცენტი თვლის, რომ სამოქალაქო უფლებების დაცვისთვის მოძრაობამ სათავე დაუდო აფრიკელ ამერიკელთა წინსვლას გარკვეულ სფეროებში; თუმცა, სტუდენტები ვერ ავლენენ ზოგად ცოდნას გარკვეულ საკითხებში.

ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება გავაძახვილე შემდეგი კითხვების პასუხებზე:

- რამდენ აფრო-ამერიკელს მიუღია საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ბარაკ ობამამდე?
- დაახლოებით როდის გაუქმდა მონობა ოფიციალურად ამერიკის შეერთებულ შტატებში?
- ზოგადი ცოდნა 1964 წლის სამოქალაქო კანონის შესახებ.
- ცნობილ აფრიკელ ამერიკელთა ამოცნობის ტესტის შედეგები.

კითხვაზე, თუ რამდენ აფრო-ამერიკელს მიუღია საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ბარაკ ობამამდე, გამოკითხულთა 60 პროცენტმა ჩათვალა, რომ ობამა გახლდათ ერთადერთი საპრეზიდენტო კანდიდატი. 18 პროცენტმა ჩათვალა, რომ ასეთი იყო 2 ან 3 ადამიანი. ვერც ერთმა სტუდენტმა ვერ დაასახელა ობამას გარდა სხვა კანდიდატი.

რამდენ აფრიკელ ამერიკელს მიუღია საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ბარაკ ობამამდე?




სქემა 1.

როგორც სქემა 1 აჩვენებს, მონაწილეთა უმრავლესობამ – 87 პროცენტმა (n=123) – ვერ გასცა კითხვას სწორი პასუხი. მხოლოდ 13 პროცენტმა (n=21) შეძლო სწორი პასუხის – “სამზე მეტი კანდიდატი” – მითითება. მონაწილეთა მცირე ნაწილმა – 8 პროცენტმა (n=3) – კითხვას საერთოდ არ გასცა პასუხი. კითხვის მეორე ნაწილში სტუდენტებს ვთხოვდით დაესახელებინათ ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საპრეზიდენტო არჩევნებში. 158 გამოკითხული ადამიანიდან მხოლოდ ერთმა ადამიანმა შეძლო ერთ-ერთი კანდიდატის დასახელება (ჯეისი ჯექსონი). შესაბამისად, ვერავინ შეძლო ერთი აფრიკელ ამერიკელი პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელება, ბარაკ ობამას გარდა.

შეერთებულ შტატებში მონობის გაუქმებასთან დაკავშირებული კითხვის შედეგები ასახულია სქემა 2-ში.

დაახლოებით როდის გაუქმდა მონობა ამერიკის შეერთებულ შტატებში?




სქემა 2.

როგორც შედეგებიდან ჩანს, გამოკითხულთა 44 პროცენტმა (n=70) მიუთითა სწორი პასუხი, ხოლო დანარჩენმა 56%-მა ვერ შეძლო სწორი პასუხის გაცემა. გამოკითხულთა 5 პროცენტმა (n=8) არ ისურვა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

სქემა 3 ასახავს შედეგებს 1964 წლის სამოქალაქო კანონის შესახებ ცოდნასთან დაკავშირებით.

1964 წლის კანონი სამოქალაქო უფლებების შესახებ აფრო-ამერიკელებს აძლევდა საშუალებას—?



სქემა 3

გამოკითხულთა 56 პროცენტმა ვერ შეძლო სწორი პასუხის დატოვება.

კითხვარის ბოლო ნაწილია, რომლებმაც ეს საკითხი წარმატებას მიაღწიეს.

დაახლოებით 53%-მა კითხვა უპასუხოდ დატოვა. 16 პროცენტმა აფრო-ამერიკელების უფლებების ინდუსტრიაზე დაუპყრობა, ჯეკი რობინსონი,

კონდოლიზა რაისი, მალქოლმ იქსი, სპაიკ ლი, მაიკლ ჯორდანი, ოპრა უინფრი, მარტინ ლუთერ კინგი, როზა პარკსი, ბარბარა ჯორდანი, მაიკლ ჯექსონი და ჯორჯ ვაშინგტონ კარვერი. მონაწილეებს უნდა გამოეცნოთ, თუ რომელ სფეროში მოღვაწეობდნენ ისინი. მაგალითად, თუ მოცემული იყო “რიჩარდ ნიქსონი”, მათ უნდა მიეწერათ “ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი”.

როგორც მოსალოდნელი იყო, მონაწილეებისთვის უფრო ნაცნობი აღმოჩნდა შედარებით “იოლი“ სახელები (მაგ. სტუდენტებს უფრო გაუადვილდათ მაიკლ ჯორდანის მოღვაწეობის სფეროს გამოცნობა, ვიდრე ბარბარა ჯორდანისა). საგულისხმოა, რომ მთლიანობაში, მონაწილეებმა მაინც არასაკმარისი ცოდნა გამოავლინეს ცამეტ ადამიანთან მიმართებაში. 13 ქულა გახლდათ უმაღლესი შეფასება სწორი პასუხისათვის. საშუალო მაჩვენებელი გახლდათ 3,94, სტანდარტული დევიაცია კი – 2.19.

დამატებითი ანალიზი: ცოდნის ოთხი ინდექსის კორელაციური ანალიზი:

როგორც აღვნიშნე, მოცემული გამოკითხვა მიზნად ისახავდა აფრიკელ ამერიკელთა შესახებ მონაწილეთა ცოდნის შეფასებას, ოთხი კრიტერიუმის გათვალისწინებით: ა) ცოდნა აფრიკელ ამერიკელ საპრეზიდენტო კანდიდატების შესახებ; ბ) ცოდნა მონობის ოფიციალურად გაუქმების თარიღის შესახებ; გ) ცოდნა 1964 წლის სამოქალაქო უფლებების კანონის შესახებ; დ) ზოგადი ცოდნა ცნობილი აფრიკელ ამერიკელი პიროვნებების მოღვაწეობის სფეროს შესახებ. თეორიულად შესაძლებელია, რომ ამ ოთხივე მაჩვენებლის პოზიტიური კორელაცია მოხდეს. ამგვარი კორელაცია ითვალისწინებდა, რომ კითხვარის ერთ ნაწილში არასაკმარისი ცოდნის შესაბამისი მონაცემები იგივე შედეგს მოგვცემდა სხვა დანარჩენ ნაწილებშიც და პირიქით.


ასეთი შესაძლებლობის გამოსაკვლევეად, პირველი სამი არჩევითი პასუხებისგან შემდგარი კითხვების სწორ პასუხებს მიენიჭა “1” ქულა, ხოლო არასწორ პასუხებს “0”. ასეთი კოდირების შემდგომ, ინდექსში მოცემული მაღალი ციფრი ცოდნის მაღალ დონეზე მიუთითებს. საგულისხმოა, რომ ანალიზში ამ ოთხ კომპონენტს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების შესაძლებლობის შესახებ დამაჯერებელი მტკიცებულება არ გამოვლინდა; კორელაციის ყველა კოეფიციენტი იყო $|r| < 0.14$, ალბათობის ყველა კოეფიციენტი გახლდათ $|p| > 0.5$. მაგალითად, მონობის გაუქმების თარიღთან დაკავშირებული ცოდნა არანაირად არ იყო დაკავშირებული ცოდნასთან 1964 წლის სამოქალაქო უფლებების კანონის შესახებ $r = 0.03$, ns. იგივე შეიძლება ითქვას ცოდნაზე ცნობილ აფრიკელ ამერიკელთა შესახებ.

ასეთი შედეგები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ, ყოველ შემთხვევაში, კვლევისას, შეუძლებელი იყო წინასწარ განსაზღვრულიყო ცოდნის დონე, ანუ

ურთიერთკავშირი ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში. ასეთი კორელაციის ნაკლებობა შესაძლოა ასახავდეს იმას, რომ ბევრი მონაწილე კითხვას პასუხს, ძირითადად, ინტუიციით სცემდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორი პასუხი, შესაძლოა, სწორედაც რომ მიხვედრის პრინციპით ყოფილიყო გაცემული.


მიღებული შედეგების გააზრებული ინტერპრეტაციისთვის, ეს შედეგები ამერიკელი კოლეჯის სტუდენტების შედეგებს შევადარეთ. საგულისხმოა, რომ ამ სტუდენტთაგან არცერთი არ გახლდათ შავკანიანი. ცხადია, ამერიკელები ბევრად უფრო გათვითცნობიერებულნი იქნებოდნენ ქართველებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, მაინც საინტერესო იყო ასეთი შედეგების გაკეთება.

სქემა 4 ასახავს ქართველი და ამერიკელი სტუდენტების პასუხების შედარებას პირველ 3 კითხვასთან მიმართებაში. როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკელების მიერ გაცემული პასუხები პროპორციულად უფრო მაღალ ნიშნულს შეადგენდა, $F(1,166) = 18.59$, $p < 001$.



სქემა 4

ეროვნებამ გავლენა არ იქონია შედეგებზე. იგივე სახის სურათი მივიღეთ ცნობილ აფრიკელ ამერიკელთა ამოცნობის ტესტთან მიმართებაშიც, სადაც ამერიკელებმა ბევრად უფრო მეტ პუნქტს გასცეს სწორი პასუხი.



სქემა 5.

კვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია აფრო-ამერიკელების ცხოვრების შესახებ სამოქალაქო უფლებების დაცვისთვის მოძრაობის პერიოდის შემდგომ. ვთვლით, რომ ეს პერიოდი, თავისი მიღწევებით, ძალიან მნიშვნელოვანია რასათა შორის ურთიერთობების თვალსაზრისით. სწორედ ამ პერიოდში გაძლიერდა შავკანიანთა როლი ამერიკის საგანმანათლებლო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სამხედრო ცხოვრებაში. თუმცა, პროგრესმა და წინსვლამ მაინც ვერ მიაღწია ისეთ ნიშნულს, რომ მშვიდად შეხვედროდნენ იმ ფაქტს, თუკი ამერიკის პრეზიდენტად შავკანიან ადამიანს აირჩევენ.

ჩვენ ვგეგმავთ, რომ აღნიშნული პერიოდი – 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან 2000 წლის ჩათვლით – ამერიკის ისტორიისა, ამერიკის კულტურისა და საზოგადოების კურსის სასწავლო საბაკალავრო პროგრამაში შევიტანოთ.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში შევეცადე გამეანალიზებინა, თუ რა გავლენა იქონია მოძრაობამ სამოქალაქო უფლებების დასაცავად აფრიკელ ამერიკელთა ცხოვრებაზე და სხვა დანარჩენ საზოგადოებრივ მოძრაობებზე. ასევე, მინდოდა ამეხსნა, თუ რა ფაქტორმა განაპირობა ამ მოძრაობის ასეთი წარმატება. თავში განხილულია ლიდერის ფაქტორის მნიშვნელობა აფრიკელ ამერიკელთა საზოგადოებაში, ვინაიდან სწორედ ლიდერი კარნახობს საკუთარ მიმდევრებს მიმართულებას.

დღესდღეობით ხშირად ჩნდება კითხვა, თუ რატომ მიიღო ასეთი ძლიერი მხარდაჭერა ბარაკ ობამამ ამერიკული საზოგადოებისგან? ან ხშირად, როდესაც აკრიტიკებენ მას, რატომ მაშინვე არ ახდენს იგი რეაგირებას აფრიკელ ამერიკელთა საკითხებთან მიმართებაში? ვფიქრობ, ობამას საპრეზიდენტო საქმიანობის შეფასება ჯერ ნამდვილად ადრეა. უადრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გავითვალისწინოთ, თუ რა მემკვიდრეობა დახვდა მას წინა ადმინისტრაციისაგან.

უდავოა, რომ ხალხს დიდი ძალაუფლება გააჩნია, მაგრამ მას სათავეში სჭირდება ადამიანი, ვინც დასახავს მიზნებს და მიმართულებებს. საჭიროდ ჩავთვალო, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ლიდერების და განსაკუთრებით ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის, ბილ კლინტონის მოღვაწეობის მიმოხილვამდე, ორიოდე სიტყვით გამეანალიზებინა და მომეხდინა მე-20 საუკუნის აფრიკელ ამერიკელი ლიდერების სტილის დიფერენციაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ თეორეტიკოსები წლების განმავლობაში ცდილობდნენ განესაზღვრათ ლიდერობის არსი. ნორსჰაუსის აზრით, ლიდერობა გახლავთ: ა) პროცესი; ბ) ლიდერობა გულისხმობს გავლენას; გ) ლიდერობის ფაქტორი წარმოიქმნება ჯგუფური კონტექსტიდან; დ) ლიდერობა გულისხმობს მიზნების მიღწევას.

ბასი თვლის, რომ ლიდერობა არის პროცესი, როდესაც ერთ ინდივიდს, საერთო დასახული მიზნის მისაღწევად, გავლენა აქვს ადამიანთა ჯგუფზე.

აღსანიშნავია, რომ ადრეულ თეორიებსა თუ ლიდერობის სტილის განმარტებებში აფრიკელ ამერიკელები საერთოდ არ იგულისხმებოდნენ. ამ ფაქტის ილუსტრირებისთვის საინტერესოა გავიხსენოთ “გამორჩეული, განსაკუთრებული ადამიანების თეორია” (The Great Man Theory). თეორიის თანახმად, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ლიდერობის თანდაყოლილი ნიჭი. ზანგს საერთოდ არ თვლიდნენ ასეთ ადამიანად. უფრო გვიანდელ ნაშრომებში ჩნდება იმ აფრიკელ ამერიკელთა სახელები, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს ერზე და მთელს მსოფლიოზე თავიანთი ლიდერობით. მაგ: მარტინ ლუთერ კინგი, მალკოლმ იქსი, ნელსონ მანდელა.

ზემოაღნიშნული თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ თანდაყოლილი ნიჭის მიუხედავად, ლიდერობისთვის აუცილებელია ხელსაყრელი გარემო. ასეთი მსჯელობა უკავშირდება სიტუაციური ლიდერობის თეორიას (The Situational Leadership Theory). ამ თეორიის მიხედვით, ლიდერი გახლავთ სიტუაციის პროდუქტი, შედეგი. რა თქმა უნდა, ეს თეორიაც არ გულისხმობდა შავკანიანებს ლიდერობის ღირსად. არსებობდა ამ ხალხის სტერეოტიპი, რომ თითქოს ისინი ვერ იქნებოდნენ ეფექტური ლიდერები, ვინაიდან მათ არ გააჩნდათ შესაბამისი ინტელექტუალური შესაძლებლობები. თუმცა, მარტინ ლუთერ კინგმა, ნელსონ მანდელამ, ოფრა უინფრემ, მალკოლმ იქსმა, ჯესი ჯექსონმა, კოლინ პაუელმა, კონდოლიზა რაისმა და, რა თქმა უნდა, ბარაკ ობამამ საპირისპირო დაამტკიცეს.

ნიშანდობლივია, რომ აფრიკელ ამერიკელი ლიდერები ქარიზმატულ და ტრანსფორმაციულ ლიდერებად ითვლებიან. ტრანსფორმაციული ლიდერობა გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ინდივიდი სხვებთან ერთად ქმნის რაღაც ჯაჭვს, კავშირს, რომელიც ზრდის მოტივაციას და მორალურ ზღვარს ლიდერსა და მის მიმდევრებს შორის.

შავკანიანთა სამოქალაქო უფლებების დაცვისთვის მოძრაობის ლიდერები ყურადღებას ამახვილებდნენ ჯგუფური ინდენტობის და ერთიანობის განცდაზე. თეთრკანიანი საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერები უფრო ხშირად ინარჩუნებენ სტატუს კვოს და რესურსებს. უმცირესობების ლიდერები კი უფრო მეტად უნდა იყვნენ ტრანსფორმაციულები სოციალური ცვლილებებისათვის ბრძოლაში.

თუ მე-20 საუკუნის აფრიკელ ამერიკელი ლიდერების დიფერენციაციას მოვახდენთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ბუკერ თ. ვაშინგტონი მხარს უჭერდა ეკონომიკურ წინსვლას, ვებ დიუბუა ყურადღებას ამახვილებდა პოლიტიკურ წინსვლასა და კარგი განათლების მიღებაზე. მარკუს გარვეი უფრო მეტად, შეურიგებელი ლიდერობის სტილით გამოირჩეოდა. დახუსტებით შეიძლება ითქვას, რომ შავკანიანთა სეპარატისტულმა მოძრაობამ საკმაოდ ბევრი რამ გადმოიღო მისი სტილისგან. მაგკოლმ იქსი, გარდა იმისა, რომ გახლდათ რადიკალური ფრთის წარმომადგენელი, ასევე, ქარიზმატული ლიდერი და განსაკუთრებული, გამორჩეული ადამიანი იყო (a Great Man). მარტინ ლუთერ კინგი განსაკუთრებული ადამიანისა და ლიდერის მაგალითია, რომლის ლიდერობის სტილმა სამოქალაქო უფლებების დაცვისთვის მოძრაობას სული შთაბერა. ჯესი ჯექსონი არის ადამიანი, რომელმაც თავის საპრეზიდენტო კამპანიისას დაამტკიცა, რომ აფრო-ამერიკელებსაც შეუძლიათ იყვნენ კომპეტენტური და განათლებულნი.

რაც შეეხება კონდოლიზა რაისსა და კოლინ პაუელს, ისინი რესპუბლიკური პარტიის წევრები არიან. კოლინ პაუელმა იმ დროისათვის არსებული თამაშის წესები მიიღო და სამხედრო კარიერის წყალობით, გახდა პირველი შავკანიანი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნად დაინიშნა და უდიდესი მხარდაჭერით სარგებლობდა. 2004 წელს პაუელმა მიიღო ფულბრაიტის ჯილდო, ახალგაზრდა თაობაში განათლებისა და ლიდერობისკენ სწრაფვის დანერგვისათვის. საგულისხმოა, რომ ობამას საპრეზიდენტო კამპანიის მიწურულს, პაუელმა მას მხარდაჭერა გამოუცხადა. კონდოლიზა რაისი გახლავთ მეცნიერი და რესპუბლიკელი პოლიტიკოსი, რომელიც ამერიკის ყველაზე უფრო სეგრეგირებულ ქალაქში, ბირმინგემში გაიზარდა. მიღებული განათლების მეშვეობით (ვეგულისხმობ დოქტორის ხარისხს საერთაშორისო ურთიერთობებში), მან მიაღწია იმას, რომ გახდა პირველი აფრიკელ ამერიკელი ქალი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პოსტი ეკავა.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი მთლიანად ეძღვნება ბარაკ ობამას. ამ თავში შევეცადე პასუხი გამეცა კითხვაზე: დაძლეულ იქნა თუ არა რასიზმთან დაკავშირებული პრობლემები ობამას არჩევით? რა ფაქტორებმა განსაზღვრეს მისი გაპრეზიდენტება?

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, უდავოდ, ისტორიული მნიშვნელობის გახლდათ, ვინაიდან ამერიკის ისტორიაში ქალი და აფრიკელ ამერიკელი პირველად გახდნენ პრეზიდენტობის რეალური კანდიდატები. ობამას კანდიდატურას თან მოჰყვა დისკუსიები რასობრივ იდენტიფიკაციასა და რასიზმთან დაკავშირებით. ბარაკ ობამას მიერ მიღებული მაღალი დონის განათლება და ამ კუთხით მიღებული გამოცდილება ძალზედ განსხვავდება დანარჩენი აფრიკელ ამერიკელი ხალხისგან. სწორედ ამ ხალხისათვის ამერიკული ოცნების რეალიზაცია ძალიან შორეულ პერსპექტივას წარმოადგენს. ბარაკ ობამა კი, შავკანიანი მამაკაცი, თავისი მიღწევებით, ერთგვარად ამერიკული ოცნების რეალიზაციის გამოხატულებად იქცა. დანარჩენი შავკანიანი ლიდერების მსგავსად, ობამას მიაჩნია, რომ აფრიკელ ამერიკელთა თანასწორობისათვის აუცილებელია კონსერვატიზმი, დაუღალავი შრომა და ზნეობრივი პასუხისმგებლობა.

საგულისხმოა ისიც, რომ ობამას საპრეზიდენტო კამპანია ნამდვილად განსხვავდებოდა მის წინამორბედ აფრიკელ ამერიკელთა საპრეზიდენტო კამპანიებისგან, თუმცა, იმავდროულად, მათ ბევრი საერთოც აქვთ. ობამას მსგავსად, შირლი ჩიშოლმი და ჯესი ჯექსონიც აუტსაიდერები იყვნენ. მათ უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდათ კოლეჯის სტუდენტებისგან, ასევე ობამასაც. თუმცა ობამას მიერ მიღებული მხარდაჭერა გასცდა აფრიკელ ამერიკული საზოგადოების საზღვრებს. ასევე, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რაც მას წინამორბედებისგან, უფრო ზუსტად – ჯესი ჯექსონისგან განასხვავებს, გახლავთ ისიც, რომ აუტსაიდერობისა და შავკანიანთა საარჩევნო ხმებზე უდიდესი დამოკიდებულების მიუხედავად, მისი საარჩევნო კამპანია არ იყო ძლიერად დამოკიდებული და დაკავშირებული შავკანიან საზოგადოებასთან. საინტერესოა, რომ 2008 წლის წინასწარი არჩევნების დაწყებამდე, ობამას სახელი არ ჰქონდათ გაგონილი ილინოისის შტატის გარეთ მცხოვრებ შავკანიანებს.

ბარაკ ობამას საპრეზიდენტო კამპანია ამომრჩევლებს სთავაზობდა ლიდერობის ისეთ სტილს, რომელიც რასობრივ საზღვრებს გასცდა, ანუ ტრანსცენდენტური იყო. ასეთი სახის ლიდერს შეუძლია პროგრესული პროგრამის გარშემო სხვადასხვაგვარი დაჯგუფებების შემოკრება. ასეთი ლიდერი შავკანიანთა საზოგადოების წევრია, რომელიც ამ ტრანსცენდენტურობას სოციალური თანასწორობისათვის მოწოდებით აღწევს. ეს უკანასკნელი კი, ეფუძნება პოლიტიკურ ბრძოლას, შეურიგებლობას და წინააღმდეგობის გაწევას (არაძალადობრივი მეთოდით) და შეშფოთების გამოხატვას შავკანიანთა მომავლის გამო ამერიკაში. ნიშანდობლივია, რომ ბარაკ ობამა, მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, არ ცდილობდა წინა პლანზე წამოეწია შავკანიანებთან დაკავშირებული საკითხები. ობამა ცდილობდა შეექმნა ურთიერთკავშირში, ურთიერთგადაკვეთაში მყოფი

რასობრივი კოალიციები, უნივერსალური პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მეშვეობით.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ობამას არჩევით თერკანიანთა საზოგადოებაში ცვლილებები მოხდა რასობრივ იდენტიფიკაციასთან მიმართებაში და მათთვის კანის ფერს აღარ აქვს მნიშვნელობა. თუმცა, ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ თერკანიან ამომრჩეველს მაინც აქვს რასობრივი ცრურწმენა, შიში და ზიზღიც კი. რაც მთავარია, ეს ფაქტორები წინა პლანზე გამოდის, როდესაც შავკანიანი კანდიდატის შეფასების საკითხი დგება.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში, ასევე, მიმოხილულია, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ შავკანიანთა მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებს, ბარაკ ობამას არჩევამდე. განსაკუთრებულად არის ხაზგასმული ბილ ქლინტონის ადმინისტრაციის მიღწევები, ვინაიდან სწორედ ქლინტონის ადმინისტრაციაში მუშაობდა შავკანიანთა უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა, სხვადასხვა მნიშვნელოვან პოსტებზე. სწორედ ქლინტონი გამოირჩეოდა მათდამი განსაკუთრებული დამოკიდებულებით. საგულისხმოა, რომ გამოჩენილი აფრიკელ ამერიკელი მწერალი ტონი მორისონი მას “შავკანიანსაც” კი უწოდებდა. ბუნებრივია, ნაშრომში ადგილი დაუეთმე ბუშის ფიგურასაც, ვინაიდან ვთვლი, რომ მის ადმინისტრაციას შეცდომები რომ არ დაეშვა, ამერიკელი ხალხი ობამას არასდროს აირჩევდა.

დისერტაციაში, ასევე, ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ, ხშირ შემთხვევაში, ბარაკ ობამას შავკანიანობაში ეჭვი ეპარებოდათ. მისი საპრეზიდენტო კამპანიისას ხშირად ჩნდებოდა კითხვა, იყო თუ არა ობამა საკმარისად შავკანიანი? საინტერესოა, რომ ჯონ მაკეინის, ჰილარი ქლინტონის, სარა პალინის ეთნიკური წარმოშობა არავის დაუყენებია კითხვის ნიშნის ქვეშ. უფრო მეტიც, რატომღაც მხოლოდ ბარაკ ობამას უნდა ესაუბრა რასობრივ და ეროვნული კუთვნილების შესახებ.

ნაშრომის მესამე თავში, ტელეკომპანია “ბიბისი“-ს მიერ ჩატარებული ეგზიტპოლების შედეგებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია, თუ ვინ მისცა ხმა ბარაკ ობამას; შეფასებულია ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პირველი ასი დღე მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით; ხაზგასმულია მისი მიღწევები, განსაკუთრებით დიპლომატიის სფეროში და ის ფაქტი, რომ მისი პრეზიდენტობისას თეთრმა სახლმა შერყეული საგარეო რეპუტაციის აღდგენა დაიწყო.

დასკვნის სახით, გაანალიზებულია ბარაკ ობამას ლიდერობის სტილი. 2009 წელს ობამამ მიიღო ნობელის პრემია მშვიდობის დარგში დიპლომატიური მიღწევებისათვის. გარდა იმისა, რომ ბარაკ ჰუსეინ ობამა გახლავთ ქარიზმატული ლიდერი, უბადლო

ორატორი და კომუნიკატორი; იმავდროულად იგი არის სიტუაციური ლიდერის მაგალითიც. როგორც ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის პროფესორი დორის ფრიდენსონი ამბობს, "მიუხედავად ობამას ნიჭისა და გამორჩეული მონაცემებისა, ობამა ალბათ ვერ მოიგებდა არჩევნებს, რომ არა ამერიკის ეკონომიკური კოლაპსი. ის ხალხი, ვინც მას არჩევნებზე მხარს არ უჭერდა, ვერ ხვდებოდა იმას, რომ ხმას აძლევდა იმ პარტიის წარმომადგენელს, რომელმაც ასეთი დიდი ზიანი მიაყენა ამერიკელ ხალხს, ერაყის ომის სახით, უდიდესი მატერიალური ზარალი მოუტანა და საოცრად შეუღალა რეპუტაცია ქვეყანას მის საზღვრებს გარეთ. ხალხმა ხმა მისცა იმედს, ხალხმა ხმა მისცა ახალ სამუშაო ადგილებს, ერაყში ომის დასრულებას, ბრძოლას გლობალური დათბობის წინააღმდეგ და, რაც მთავარია, ხალხმა ხმა მისცა ახალგაზრდობას და განათლებულობას, გონიერებას, რათა დაემტკიცებინა, რომ ამერიკელებს უფრო უკეთესად შეუძლიათ ქვეყნის წარმართვა".

დასკვნები

დღესდღეობით, როდესაც ამერიკელი ხალხი მთავრობის მიმართ უფრო მომთხოვნე გახდა, რთულია მთავრობამ ერთი ხელის მოსმით გადაჭრას ყოველგვარი პრობლემა. თუმცა, ბარაკ ობამა, მისი პრეზიდენტობის პირველი დღიდან, ცდილობს იყოს თანმიმდევრული და მიჰყვეს მის მიერ დასახულ გეგმას. თვითონ მისი არჩევის ფაქტი ადასტურებს ამერიკელი ხალხის დაუდგრომელ სწრაფვას დემოკრატიის იდეალებისკენ.

ამერიკაში სასწაულად აღიქვს ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე აფრო- ამერიკელის არჩევა. აფრიკელ ამერიკელმა ხალხმა ხომ უდიდესი სირთულეებითა და დაბრკოლებებით აღსავსე გზა განვლო. ხალხი, რომელიც იძულებით ჩამოიყვანეს ქვეყანაში და დაამონეს საკუთარი კანის ფერის გამო, მაინც გადარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ტოკვილს არ სჯეროდა თეთრისა და შავის ასიმილაციის და ინტეგრაციის, აფრიკელ ამერიკელებმა საპირისპირო დაამტკიცეს. ცხადია, რომ აბრაამ ლინკოლნმა, ემანსიპაციის პროკლამაციის მეშვეობით, უდიდესი როლი ითამაშა შავკანიანი ხალხის წინსვლაში, მიუხედავად იმისა, რომ პროკლამაციის შემდგომმა პერიოდმა იმედგაცრუება და ოცნებების მსხვერვალი მოიტანა.

უდავოა, რომ რელიგიამ, კერძოდ კი ეკლესიამ, გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ ხალხის გადარჩენაში, ვინაიდან მან აფრიკელ ამერიკელთა ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალური სტატუსი მოიპოვა. გარდა რელიგიური მიზნებისა, ხალხს ეძლეოდა ერთმანეთთან შეუზღუდავი ურთიერთობის საშუალება. სწორედ ეკლესიის წიაღიდან აღმოცენდნენ ის ლიდერები, რომლებიც ეპოქალურ ცვლილებებს აღწევდნენ აფრიკელ ამერიკელთა ცხოვრებაში.

და ბოლოს, ბარაკ ობამა, კოლუმბიის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებებში ბაკალავრის ხარისხის მოპოვებით, საერთაშორისო ურთიერთობების განხრით, მისი

ჰარვარდის დოქტორის ხარისხით იურიდიულ მეცნიერებებში, ხშირად არატიპიურ შავკანიანად ითვლება და ხანდახან ზედმეტად ელიტურადაც. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ითვლება, რომ უმცირესობების ლიდერები, კერძოდ შავკანიანები, უმჯობესია იყვნენ ტრანსფორმაციულები საკუთარ ბრძოლაში სოციალური ცვლილებების მიღწევისათვის და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. განათლება კი სწორედ ის იარაღია, რომელიც ხალხს თვითრეალიზაციის და თვითდამკვიდრების საშუალებას აძლევს.

ბარაკ ობამა გახლავთ შავკანიანი ადამიანის ახალი ლიდერის სახე. აღსანიშნავია მისი ორმხრივი, თანაბარი “გახსნილობა” თერკანიანებისა და შავკანიანების, ასევე სხვა უმცირესობების მიმართ; მისი საშინაო რეფორმები, ვგულისხმობ ეკონომიკური სტიმულის პაკეტს; რეფორმა ჯანდაცვის სფეროში; მისი საგარეო პოლიტიკის ახალი სტრატეგიები. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მას გზა გაუკაფა იმ ხალხმა, ვინც აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლაში სამოქალაქო უფლებების დასაცავად და სწორედ ამ ხალხის დამსახურებაა ის, რომ ობამა ამერიკული საზოგადოებისათვის მისაღები გახდა.

სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია შემდეგი სტატიები:

1.”*აფრო-ამერიკული მოძრაობების განვითარების დინამიკა 1681 წლიდან 1990-იან წლებამდე*”. გელათის მეცნიერებათა აკადემიის უეზნალი.2010 წლის №3-4.

2. Gamsakhurdia, N. (2009).*Martin Luther King as a Milestone in the American History*. Published in the American Studies Periodical, 2nd Edition. International Black Sea University.P.110

3. Gamsakhurdia, N. (2010).*A study of Georgian Students' Attitude and Knowledge about the Post-Civil Rights Era in the United States*. Accepted for publishing in IBSU Scientific Journal. June issue of 2010, (Volume 4, Issue 1.)